ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!



# ილია

№6

1990.



წმინდა ილია მართლის საზოგადოების ქობულეთის ფილიალი

კიდევაც დაიზრდებიან ალვეთს ლეკვები მგლისანი

## ბრძოლა გრძელდება

1988 წლის 10 დეკემბერს, ბათუმში, ქართველ პატრიოტთა მიერ უნდა ჩატარებულიყო მიტინგი. მომიტინგეთა ძირითადი მოთხოვნა იყო ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის /რომელშიც მაშინ მაღალი ძაბვის დანადგარები იდგა/ გადაცემა მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. თურქოფილური ორიენტაციის "აჭარის გავლენიანი პირების" მიერ ინსპირირებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ დაარბია მიტინგი. ხელისუფლების მიერ მოტყუებულმა ხალხმა, ჩაქვში ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, ხოლო ბათუმში სახალხო-სანახაობრივი ტერორი მოუწყვეს აჭარის ერთ-ერთ სამართალდამცველს- ნოდარ იმნაძეს.

ავტორიტარულმა აჭარის ტელევიზიამ და პრესამ ეს ფაქტი "ხელისუფლების"სასარგებლოდ გააშუქა და მაღლიერი ხელისუფლებიდან გულის გასახარი სიტყვებიც დაიმსახურა. ამის შემდეგ, აჭარის "ხელისუფლების წყალობით" გაჩაღდა ანტიეროვნული კამპანია, რომელიც სამწუხაროდ დღემდე მოქმედებს. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, ჯერაც არ მისცემია სათანადო პოლიტიკური შეფასება ამ ბარბაროსულ აქციას და კვლავაც "მაღალ' თანამდებობებზე" გვევლინებიან აქციის სცენარის ავტორები და შენიღბული მოქმედი პირები.

ამა წლის 10 დეკემბერს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ხულოს რეგიონების სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილი იქნა აქცია. დილის 12 საათიდან, ქობულეთის კულტურის სახლის წინამდებარე ტერიტორიიდან, ავტობუსებით გავემართეთ ჩაქვის რკინიგზის სადგურში, საიდანაც მოვაწყვეთ ფეხით სვლა ჩაქვის ჩაის სახლამდე. იქ ჩატარდა მიტინგი, სადაც სიტყვით გამოვიდა-კობა ხაბაზი, რომელმაც ჯერ მიულოცა ხალხს 10 დეკემბერი - ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე, ხოლო შემდეგ დაწვრილებით მოყვა გასული წლის 10 დეკემბრის აქციის დარბევის შესახებ და პოლიტიკური შეფასება მისცა ამ ფაქტს. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სეძპ-ს აჭარა-გურიის რეგიონული კომიტეტის წარმომადგენელი - ავთო კალანდაძე, ბათუმის სახალხო ფრონტის წარმომადგენლები - ბადრი თევზაძე და ზურაბ რურუა. ბათუმის ეძპ-ს წარმომადგენელი - მერაბ კოპალაძე, ბათუმის სამართალ-რადიკალური პარტიის წარმომადგენელი - მალხაზ ვარშანიძე. ქობულეთის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე - მერაბ ნემსაძე.

შემდეგ მიტინგმა გადაინაცვლა ბათუმში, სადაც ხალხის დიდი მასა ღებულობდა მონაწილეობას.





მიტინგი მიჰყავდა ყოფილ პოლიტ-პატიმარს ნოდარ იმნაძეს.

მიტინგზე გამოიკვეთა 10 დეკემბრის - როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის მნიშვნელობა, ამ დღის იგნორირება საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამ მოძრაობაში აჭარის როლი, დაგმობა ყოველგვარი სეპარატიზმისა და უნდობლობის გამოცხადება აჭარის ხელისუფლებისადმი. მიტინგზე ფრიალებდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშები, რაც გამოხატავდა ერის ერთიანობას - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრმა - კობა ხაბაზმა /რომლის ფოტოსურათსაც აქვე გთავაზობთ/, ამ მიტინგზე გამოსვლისას თავისი სიტყვა დაასრულა შემდეგნაირად:

მე ხელთ მიჭირავს საბჭოთა კავშირის სიმბოლო - ნამგალი და ურო, რომლითაც ხელისუფლება გამოხატავს თითქოსდა მუშათა და გლეხთა ერთიანობას; სინამდვილეში კი, ნამგლით - გლეხს სჭრიან თავს, უროს - მუშას ურტყამენ თავში, რათა არ დაუპირისპირდნენ ისინი იმ ბოროტებას, რომელიც სუფევს ე.წ. საბჭოთა კავშირში, რათა ისინი მუდმივ მონობაში იყოლიონ. მე თქვენს თვალწინ ვამტვრევ ამ სიმბოლოს და ნამტვრევებს მივართმევ საოლქო კომიტეტს. ეს აქტი იქნება სიმბოლო იმისა, რომ თუკი ბერლინის კედელი დაეცა, დაეცემა საძულველი საბჭოთა ხელისუფლება და საქართველო მოიშორებს მონობის სამარცხვინო უღელს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი ერთა თანასწორობაზე და საყოველთაო ჰუმანიზმზე.

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს!"

ბოლოს სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელმა - გოჩა აბულაძემ. მან იქადაგა ქრისტიანობის შესახებ. აღავლინა ლოცვანი.

შემდეგ მოეწყო სვლა წმინდა ნინოს ქუჩიდან /ყოფილი შაუმიანის ქ./ ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარში.

აღნიშნულმა მიტინგმა ცხადჰყო, რომ მიუხედავად ხელისუფლების ანტიქართული მოღვაწეობისა, აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. შორს არ არის ის დრო, როდესაც არსებული იმპერია დაიმსხვრევა და საქართველო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის.

ცირა ხაჯიშვილი

---

### საბინაო პრობლემების შესახებ

თუმცა უხერხულია ამაზე საუბარი, მაგრამ ხშირად გულუბრყვილო ადამიანი სვამს კითხვას: -რომ გაიძახით საქართველო დაპყრობილია, რა გვიგავს დაპყრობილისო?

საბინაო პრობლემა და პოლიტიკა, თითქოს აბსოლუტურად განსხვავებული საკითხებია, მაგრამ პოლიტიკა და სოციალური საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ქვეყნის ინფრასტრუქტურა, მმართველობის ფორმები განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, და არა პირიქით - როგორც ცდილობს მარქსიზმი მის წარმოჩენას, რომ ეკონომიკა არის ბაზისი და პოლიტიკა ზედნაშენი.

დავუბრუნდეთ საბინაო პრობლემას ქობულეთში. კონსტიტუციური კოლონიალიზმი, რომელიც დამკვიდრებულია ე.წ. სსრ კავშირში, საშინელ მდგომარეობაში აყენებს ადამიანს. ვერ აკმაყოფილებს მის ელემენტარულ მოთხოვნილებებს, ისეთებს, როგორიცაა საბინაო, საყოფაცხოვრებო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა.

1969 წლის 17 იანვრის N40 დადგენილებით სსრ კავშირში აკრძალულია ინდივიდუალური სახლთმშენებლობა საკურორტო ზოლში ზღვის მართობულად სამი კილომეტრის მანძილზე.

ქობულეთის რაიონის მაცხოვრებლებიდან 600 ოჯახს აქვს საშუალება თავისივე ნაკვეთში ააშენოს ინდივიდუალური სახლი /რაოდენობა მოსახლეობისა დაახლოებით 1000/, მაგრამ ზემოაღნიშნული დადგენილება არ აძლევთ მათ ამის საშუალებას,

საკითხავია, თუ რატომ უნდა წყვეტდეს რუსეთი- კრემლი საქართველოში მცხოვრები ააშენებს თავისივე ნაკვეთში სახლს, თუ არა.

ეს საკითხი 1983 წლის 21 ივლისს განხილული იქნა საქართველოს მინისტრთა საბჭოში და მიღებული იქნა დადგენილება, რომ შეთანხმების შემდეგ ქ.ბათუმში, ქობულეთსა და გუდაუთაში შეჩერდეს აღნიშნული კანონის მოქმედება /დადგენილება N442/, მაგრამ ჯერ-ჯერობით აღნიშნული დადგენილებას განხორციელება არ მოჰყოლია.

ზემოთ აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე დაისვა სახლმშენის წინაშეც, მაგრამ პასუხი დღემდე არ ჩანს.

სოფლადაც მწვავედ დგას საბინაო პრობლემა. სოფლებში გასაყოფია 2750 კომლი, მაგრამ მიწის ფონდი რეალურად აღარ არის და აქაც ვხვდებით დაპირისპირება უაზრო ბიუროკრატიულ მექანიზმთან.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა პირებმა, მრავალჯერ მოგვმართეს წმინდა ილია მართლის საზოგადოებას საბინაო პრობლემებზე. შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მათთვის დახმარება გაგვეწია. რამიშვილის ბინის პრობლემა /აქ მთავარ როლს თამაშობდა 5 მცირეწლოვანი ბავშვი, გადაწყდა ოჩხამურის მეურნეობის დირექტორის თ. ცეცხლაძის დახმარებით. აგრეთვე, შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ ჭყონიას, მიქელაძის ოჯახებს, მაგრამ არსებული უაზრო საკანონმდებლო ნორმების გამო ეს პრობლემა დღისათვის კვლავ გადაუჭრელია. ამიტომაც, როგორც არასდროს, დღეს ისეა საჭირო ერთიანობა და თანადგომა, რათა ერთობლივი პროტესტი გამოვუცხადოთ იმ დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ვიბრძოლოთ ერთად, რათა ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს და ჩვენვე განვაგებდეთ ჩვენსავე ყოფა-ცხოვრებას.

კობა ხაბაზი

//////////////////////////////////////////////////////

## საქმეთა თანადგომა და ერთიანობა

როგორც არასდროს, ისე უჭირს დღეს საქართველოს. უჭირს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, უამრავი პრობლემის წინაშე დგას დღეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მაგრამ მაინც უმთავრესი სულიერ სფეროში არსებული დეფიციტია. რწმენასა და ნდობას მოკლებულმა ადამიანებმა დაკარგეს ერთმანეთისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილნი მხოლოდ პირად კეთილდღეობასა და ანგარებაზე ფიქრობენ. ჭორაობით, ლაყბობით, თვალთმაქცობით შემოიფარგლება მათი ყოველი დღე, არავითარი სალი აზრი და ნათელი [illegible]გონება მათ არ ამოძრავებთ, თუმცა მათზეც იმოქმედა იმ ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა. შაქრის, საპნისა და სარეცხ საშუალებათა ძებნით გადაღლილნი ეძებენ "დამნაშავეებს", მაგრამ ამაოდ, ამიტომაც გაბოროტებულნი, რწმენადაკარგულნი ეგრეთწოდებულ არაფორმალებს გადააბრალებენ ეკონომიკურად გაღატაკებული სახელმწიფოს უნიათობას, ყველა დანაშაულისა და ბოროტების მოთავედ მათ მიიჩნევენ. აქამდე რუსეთი აღარ გვიწვდის დახმარების ხელს და აღარ გვამარაგებს ყოველდღიური მოხმარების საგნებით: ბენზინით, შაქრით, საპნით და სხვა. და ეს ყველაფერი თურმე მათი ბრალი ყოფილა, რომ მათ"არიეს და დაანგრიეს დაწყობილი, ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრება".

უნდა ვიფიქროთ, აუცილებლად ვიფიქროთ რასა ვიქმთ. უნდა დავინახოთ რა იმალება ამ ყბადაღებული ლაყბობის იქეთ, "არცოდნა არცოდვაო", მაგრამ არც ისეთი არცოდნა ვარგა სამარეს რომ გითხრის და უფსკრულის პირზე მიყავხარ.

ეხლახან ბათუმში ნავთობის რეზერვუარებს ცეცხლი გაუჩნდა და მაშინვე გაჩნდა ჭორიც, რომ"არაფორმალებმა" გაუკიდესო. გასაკვირია ის, რომ უმეთვალყუროდ, კონტროლის გარეშე დატოვებულ რეზერვუარებს ცეცხლი გასჩენოდა?... გვეყო ხალხნო, ნუთუ აღარ კმარა ამდენი სიბნელე?!...

მრავალი "პოლიტიკოსი" დაუგროვდა საქართველოს. სად არ შეხვდებით მათ, ავტობუსებისა თუ ტაქსების რიგში, სტადიონებსა თუ კინოთეატრებში, გაზეთების კიოსკებთან თუ გასტრონომებში. მსჯელობენ ისინი საქართველოს ბედ-იღბალზე, მის აწმყოსა და მომავალზე, არწმუნებენ ერთმანეთს, ამტკიცებენ, რომ ესა თუ ის "არაფორმალების" ლიდერი როგორ სცემეს, როგორ მოკლეს, რომ კობა ხაბაზი ისეა ნაცემი, ვერ გადარჩება. - ესეც რათქმაუნდა "გარდაქმნის მონაპოვარია".

ღრმად თუ ჩავუკვირდებით ყველაფერ ამას, დავრწმუნდებით, რომ როგორც არასდროს, ისე გვჭირდება განწმენდა და სულიერი ამაღლება. თითოეულმა გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს ილიას სიტყვები: ენა, მამული, სარწმუნოება და დავდგეთ ილიასეულ გზაზე, რომელიც წმინდა ტაძრამდე მიგვიყვანს. განვიწმინდოთ ცოდვებისაგან. ყოველმა ჩვენი საქმე ვაკეთოთ გულით, წმინდა ხელებით, რამეთუ "სათითაოდ ყველას ერთნაირი დანიშნულება არა აქვს, სათითაოდ ყველას რაიმე დანიშნულება კი უსათუოდ აქვს. მალაიზნეობის თვალის წინაშე სიდიადე ადამიანისა, დანიშნულების სიდიადეზედ არ არის დამოკიდებული. მრავალგვარია ნიჭიერება, ღონე და მიდრეკილება ადამიანისა. სიდიადე და ღირსება ის არის, ვინ როგორ აურჩია საქმე თავის ნიჭსა, ღონესა, მიდრეკილებასა და ვინ როგორ უძღვება. თვითონ საქმის მეტ-ნაკლებობა აქ არაფერს შუაშია, დიდი და პატარა სულ ერთია, ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს, იმას ჩასჭიდოს ხელი, რაზედაც გული მიუწევს და ნიჭი და უნარი მიუწვდება. უამისოდ ყოველი დიდი საქმე მცირეა და ამისით კი ყოველი პატარაც დიდია" - ბრძანებდა ილია.

ლია კახიძე.

//////////////////////////////////////////////////////

## შეხვედრა „ხალხის რჩეულთან"

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომმა და რაიონის მშრომელებმა მიმდინარე წლის 8 დეკემბერს, ქობულეთის რაიონის კულტურის სახლში შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პოეტ- მუხრან მაჭავარიანს.

საზეიმოდ იყო მოწყობილი კულტურის სახლი. ასეთი ფარდაგებით მოფენილი დარბაზი კარგა ხანია არ ენახა ქობულეთის მოსახლეობას. ხუმრობა ხომ [illegible] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ხვდებოდნენ, დეპუტატს, რომ[illegible] მშრომელები იმედიან სიტყვას ელოდნენ. დარბაზიდან უამრავი შეკითხვა მიუვიდა დეპუტატს. მან მხოლოდ რამდენიმეს უპასუხა მოკლედ და ამით ამოიწურა დეპუტატის მისია ქობულეთში. იმედგაცრუებული დარბაზი მისჩერებოდა კათედრას, სადაც გაჩაღდა მუხრან მაჭავარიანის ქებათა კორიანტელი. დეპუტატის ქებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ენაცვლებოდნენ "პრეზიდიუმში" მსხდომი პირები. თბილისიდან ჩამოსული სტუმრები და აჭარის მკვიდრი პოეტები. ასე გადაიქცა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ- მუხრან მაჭავარიანთან შეხვედრა ამომრჩევლებთან, მის საიუბილეო სალამოდ.

ჩვენც დიდ პატივს ვცემთ ბატონ მუხრან მაჭავარიანის პოეზიას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პოეტობა სულაც არ არის პოლიტიკურ აზროვნებაში სწორი პოზიციის გარანტია. ვფიქრობ და ეს მარტო ჩემი პირადი აზრი არ არის, რომ ამ შეხვედრამ, ბატონ მუხრან მაჭავარიანის ავტორიტეტი დასცა თვით ისეთ ადამიანებში, რომელთაც მისი სახელი უდიდეს მოწიწებასა და პატივისცემას მთაუწერგავდა.

აჭარის საოლქო კომიტეტს და რაიონის ხელმძღვანელობას, რომლებიც ესწრებოდნენ ამ"საიუბილეო" სალამოს - შევახსენებთ, რომ მაშინ, როდესაც ასე უჭირს საქართველოს, როცა ჯერ კიდევ მოსალოდნელია საფრთხე აფხაზეთიდან, ოსეთში ჯერაც არ ჩამცხრალა მოსალოდნელი სისხლისღვრა /ჩვენი რაიონის ბიჭები იმ დროს ოსეთში იმყოფებოდნენ/, როცა ზვავსა და მეწყერს მიაქვს საქართველოს მთიანი მოსახლეობა, როდესაც დაზარალებული აჭარის მოსახლეობა ჯერ კიდევ უსახლკაროდაა დარჩენილი, /და სხვათა შორის იმ დღეს ბეწვზე ცეცხლში იყო გახვეული/ ჩვენს საოლქო კომიტეტს და რაიონის ხელმძღვანელი აპარატის მუშაკებს არ უნდა ეცალოთ იმისათვის, რომ "საზეიმო" წვეულების მოსაწყობად ზარაქიანად გადაყარონ წყალში, ხალხის ოფლით მოპოვებული დოვლათი.

სარწმუნო წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შეხვედრა სკკპ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ - მუხრან მაჭავარიანთან 2000 მანეთი დაუჯდა რაიონის მშრომელებს.

ხალხმა ხმა უნდა აღიმაღლოს ასეთი უმსგავსოების წინააღმდეგ და დაფიქრდეს იმაზე. საჭიროა თუ არა მივიღოთ მონაწილეობა და ავირჩიოთ დეპუტატი, რომელსაც ხალხისთვის არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

მოგიწოდებთ რაიონის ყველა მშრომელ ადამიანს - უარი ვთქვათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან ჯერ არც ერთ "კარგ" დეპუტატს მშრომელებისათვის არაფერი გაუკეთებია. ერთი კია, რომ უშრომელად მისდით მათ გარკვეული თანხა, სამაგიეროდ ისინი პარტიის ამ დამსახურებას მხურვალე ტაშით უპასუხებენ უმაღლესი საბჭოს ყრილობაზე და ყოველივე ამის გარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაკანონებით ერს უფსკრულისაკენ უბიძგებენ.

მოგიწოდებთ ყველას არჩევნების ბოიკოტისაკენ!

ციალა ჯინჭარაძე.

//////////////////////////////////////////////////////

## უ ი მ ე დ ო თ ა   ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ

1989 წლის მაისში, ახალწვეულთა ერთმა ჯგუფმა უარი განაცხადა საქართველოს ფარგლებს გარეთ სამხედრო სამსახურის მოხდაზე. ამ აქციას მხარი დაუჭირა წმ. ილია მართლის საზოგადოებამ და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ. როდესაც ეს აქცია დაიწყო ქობულეთში, პარალელურად დაიწყო მითქმა-მოთქმა: "ამ ბიჭებს თეთრ დათვებთან ამოაყოფინებენ თავსო", "საქართველოში ქართველები ერთმანეთს დაჭამენო" და ა.შ. მაგრამ გაფიცული ბიჭების მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. ისინი საქართველოში იხდიან სამხედრო სამსახურს. გაფიცულებიდან ახლა ორი - თბილისის, ორი - ბაღდადის, ორიც - მერიის სამხედრო ნაწილებში იმყოფებიან.

ქობულეთის წმინდა ილია მართლის საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ ბაღდადში და ესაუბრნენ ქობულეთელ ბიჭებს. საუბარში გამოირკვა, რომ ისინი კმაყოფილი არიან საქართველოში ყოფნით. მათთან ერთად რვა ქართველი მსახურობს სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ რატომღაც ისინი ერთმანეთს არ "ჭამენ".

ბიჭები მადლობას უხდიან წმინდა ილია მართლის საზოგადოებას და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მათი თანადგომისა და ამ კეთილშობილურ საქმეში დახმარებისათვის.

ასლან ვერულიძე.

//////////////////////////////////////////////////////

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ე ბ ი

ქობულეთის წმინდა ილია მართლის საზოგადოება და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ვულოცავთ ბატონ ტარიელ ვერულიძეს სკკპ რიგების დატოვებას. მან ჭეშმარიტად სახიკეთო ნაბიჯი გადადგა ერის თავისუფლებისათვის.

ქობულეთის მკვიდრმა -ნუგზარ გოგუაძემ უარი თქვა კომკავშირლობაზე. ვულოცავთ მას მარქსისტული დოგმებიდან განთავისუფლებას და მისი ღვიძლი შვილის - კომკავშირის რიგების დატოვებას.

ლმერთმა გვიმრავლოს ჭეშმარიტების გზისკენ შემობრუნებული ქართველი ახალგაზრდები.

ქობულეთის წმ. ილია მართლის საზოგადოება და სეძპ შეხვედრებს აწყობს რაიონის მშრომელებთან. ასეთი შეხვედრა მოეწყო მუხაესტატეს კოლმეურნეობაში. ხალხისთვის გაცნობილი იქნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უახლოესი გეგმები. გაეცა პასუხები უამრავ გაურკვეველ საკითხს. ასეთი შეხვედრები მოეწყობა ყველა სოფელში.

გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა.

---

ქობულეთის წმ. ილია მართლის საზოგადოება მადლობას უხდის ბატონ ბესიკ მჟავანაძეს. მან 200 მანეთი შესწირა საზოგადოებას.